



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების  
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
(დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საფირმო სახელწოდება)

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება**

(პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში))

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქ.წყალტუბო N24 საბავშვო ბაღი**



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ვანდა ქობულაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: სოფიო მოწონელიძე

კვების დარგში ექსპერტი: დალი მედოიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: მარიამ გელხვიძე

## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ |                                                        |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------|
| სამართლებრივი ფორმა                                                                                                           | არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი            |
| საფირმო სახელწოდება                                                                                                           | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი                                                                                                        | 221281636                                              |



|                                                                                                                                                 |                                                           |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------|
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                                     | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქ.წყალტუბო N24 საბავშვო ბაღი    |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>(არსებობის შემთხვევაში)                                                                                           |                                                           |
| სექტორი                                                                                                                                         | საჯარო                                                    |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ                                                                                                          | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება            |
| <b>2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ</b> |                                                           |
| იურიდიული მისამართი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                                                           | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქ. წყალტუბო ვაჟა-ფშაველას ქ. N1 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                             | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქ. წყალტუბო 9 აპრილის N15       |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)                                                                             |                                                           |



|                                                                                                                                                                                                                                                                 |                                                                   |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|
| <b>3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                         |                                                                   |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>                                                                                                                                                                                       | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/> |
| <b>4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ</b>                                                                                                                                                                                                                            |                                                                   |
| ვიზიტის საფუძველი<br>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)                                                                                                                                                                                                       | ბრძანება № MES 2 25 0000863841 14/07/2025                         |
| ვიზიტის პერიოდი<br>(თარიღი)                                                                                                                                                                                                                                     | 2025 წლის 13 და 14 აგვისტო                                        |
| <b>5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)</b>                                                                                                                                                                                |                                                                   |
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა                                                                                                                                                                      | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა                                     |
|                                                                                                                                                                                                                                                                 |                                                                   |
| <b>6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ</b>                                                                                                |                                                                   |
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და |                                                                   |



| შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |                                            |                                                                                                                                                       |                              |                                                                                      |                                                                                                                                                                    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| N                                                                                                                                                                       | პროგრამის სახე <sup>1</sup>                | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება                                                                                                                            | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური) | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა                                                                                 |
| 1                                                                                                                                                                       | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ „მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფისთვის“. სასკოლო მზაობის პროგრამა: „თამაში.“ | ქართული ენა                  |                                                                                      | 90                                                                                                                                                                 |
|                                                                                                                                                                         |                                            |                                                                                                                                                       |                              |                                                                                      | ექსპერტთა ჯგუფი<br>ეთანხმება <input type="checkbox"/><br>არ ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/><br>ექსპერტთა მიერ<br>რეკომენდებული<br>რაოდენობა არის 70. |
|                                                                                                                                                                         |                                            |                                                                                                                                                       |                              |                                                                                      |                                                                                                                                                                    |

<sup>1</sup> აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2025 წლის 13- 14 აგვისტოს ქალაქ წყალტუბოს N24 საბავშვო ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით და მშვიდ გარემოში, რაიმე სახის გართულება არ ყოფილა, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს მოხდა შეხვედრა დაწესებულების სხვადასხვა პირებთან.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასების დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასება არ დაემთხვა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას შემდეგ სტანდარტთან მიმართებაში, შეუსაბამოა:

სტანდარტი 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;

სტანდარტი 2. კურიკულუმი;

სტანდარტი: 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა;



## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....

.....

.....



| 10.ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტანდარტი/კომპონენტი                                        | დაწესებულების თვითშეფასება                                                                                                                                                                     | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება                                                                                                                                                                      |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა                   |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება           | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია                                    | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება                                | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება



|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა<sup>2</sup></b></p> <p><b>პროგრამის სახე:</b> სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა</p> <p><b>კურიკულუმის დასახელება:</b> ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“. სასკოლო მზაობის პროგრამა: „თამაში“</p> |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 2. კურიკულუმი                                                                                                                                                                                                                                                                                                                             | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა                                                                                                                                                                                                                                                                                                                 | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება                                                                                                                                                                                                                                                                                                            | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება                                            | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება                                            |

<sup>2</sup> ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



|                                          |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                          | <input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                                                                        | <input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                                                                        |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |



| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა                         | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა                          | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება         | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა            |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
| 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება                 | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება                                                                                               | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება                                                                                               |



|                                           |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                           | <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                     | <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                     |
| 4.2. პროცესების მართვა                    | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი                  | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები          | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება     | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება                                                                                               | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება                                                                                               |



|                       |                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                |
|-----------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                       | <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                     | <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება                                                                                                     |
| 4.7.ფინანსური რესურსი | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება



- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

## 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: ოჯახებთან და თემთან პარტნიორობით, განვითაროთ პატარები. თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეშვეობით შევქმნათ,

ხალისიანი და ინკლუზიური გარემო, სადაც ბავშვები განვითარდებიან ასაკის შესაბამისად თავდაჯერებულ, კომუნიკაბელურ პიროვნებად, ემპათიურ ინდივიდებად, რომლებიც მზად არიან მიიღონ სამყარო. წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები

დაწესებულების ხედვაა: თემის და ოჯახის ჩართულობის გაზრდით, ხელი შეუწყობს საბავშვო ბაღის(ინსტიტუციურ), მრავალმხრივ განვითარებას. აღსაზრდელების ჩამოყალიბებას პასუხისმგებლიან პიროვნებად, ემპათიურ ინდივიდებად. ელექტრონული სისტემების, განვითარების გზით, გავზარდოთ მშობელთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.

დაწესებულების ღირებულებებია:

საერთო მიზნისკენ სწრაფვა გუნდურობის გზით. წარმატებული, კომუნიკაციის უნარი, პროფესიონალიზმი, ინოვაციური ხედვები და ღიაობა. უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. საქმისადმი ერთგულება, ბავშვის სიყვარული, მათი თანასწორობის დაცვა და მიმღებლობა. პოზიტიური გარემოს ფორმირება.

დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. სამივე მათგანი ბავშვის კეთილდღეობასა და საუკეთესო ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული. მისიასთან მჭიდრო კავშირშია ხედვის სამომავლო მიზნებიც. ღირებულებების ნაწილში კი, წარმოდგენილია მისიასთან თავსებადი მიზნებისა და ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

.....

.....

.....



## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის,“ რომელიც დამტკიცებულია ა(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41.48251422 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია შემუშავების პროცესი, განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და განსაზღვრულია მათი ჩართულობის გზები, მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი

1. დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება ხდება ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.
2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:
  - ა) სამჯუშაო ჯგუფის მიერ მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;
  - ბ) პროექტების გაზიარება ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეებისათვის;
  - გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;



- დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება;
  - ე) შემუშავებული განაცხადების წარდგენა დირექტორებისათვის.
  - ვ) დირექტორის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების მოწონების შემთხვევაში, განაცხადების გამოქვეყნება ბაღის საჯარო ღონისძიებებზე
3. დირექტორი უფლებამოსილია შემუშავებული განაცხადები უკან დაუბრუნოს სამუშაო ჯგუფს შემდგომი გადამუშავებისათვის. გადამუშავებული განაცხადების წარდგენის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით.
  4. მისია, ხედვა და ღირებულებები არ მტკიცდება.
  5. მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გარდა ამ წესით მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა, გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები:
    - ა) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება გაერთიანების შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
    - ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბაღებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბაღის მიერ.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია 2025 წლის 22 მაისს, ხოლო მისია, ხედვისა და ღირებულების შემუშავების პროცესი ასახულია 2024 წლის 13 დეკემბრის ოქმი N 2-ში. მისია, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტი შემუშავებულია მეთოდოლოგიის შემუშავებამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია „ა(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41.48251422 ბრძანებით. დაწესებულებას მისია, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მექანიზმი აღწერილი აქვს მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი. მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გარდა ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა ( ა) ბაღის სოციალური გვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ) ), გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები:



ა) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება გაერთიანების/ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე;  
გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბაღებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბაღის მიერ.

**„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41.48251422 ბრძანებით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისია, ხედვისა და ღირებულების შემუშავების პროცესში დაინტერესებულ პირთა წრე. აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლში (პროცესში ჩართული მხარეები) იკითხება შემდეგი ინფორმაცია:**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- ა) ბაღების გაერთიანების წარმომადგენელი/წარმომადგენლები.
- ბ) ბაღების წარმომადგენელი/წარმომადგენლები.
- გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საკონსულტაციო საბჭო.
- დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

დაწესებულებამ დაინტერესებულ პირებთან გაზიარების ამსახველი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**



## რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და მისია, ხედვა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი გააზიაროს მექანიზმით გათვალისწინებულ დაინტერესებულ მხარეებთან და გამოიყენოს მასში გაწერილი გაზიარების მექანიზმები.

## რჩევა

.....  
.....  
.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს გაერთიანების დირექტორის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებას დაინტერესებული მხარეებისათვის, "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში" გათვალისწინებული მექანიზმის მიხედვით. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41.48251422 ბრძანება.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| 1.1. დაწესებულების მისია             |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41. 48251422 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ფორმას და პერიოდულობას. (მუხლი 14, 15) სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისთვის და შეფასებისთვის გაერთიანება იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2,5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედოს შემთხვევაში კვარტლურად. შეფასებას კი წლის ბოლოს. (დაწესებულების დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ დოკუმენტის დამტკიცებიდან ერთი წლის შემდეგ დგება შეფასების დრო.)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები) მუხლი 4, მუხლი 5.

#### **მუხლი 4. პროცესში ჩართული მხარეები**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- ა) ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წარმომადგენლები .
- ბ) ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ -ბაღების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საკონსულტაციო საბჭო.
- დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

## თავი 5. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესის საკვანძო პრინციპები

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრატეგიული დაგეგმვისას ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს:

1. **თანამონაწილეობა** - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვითა და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით.
2. **დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება** - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეებს ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.
3. **გამჭვირვალობა** - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ სტრატეგიული დაგეგმვის და მისი განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას.
4. **ანგარიშვალდებულება** - ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2.5 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას ბაღის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის შექმნის და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს მეთოდოლოგიით განსაზღვრული დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და წარმოადგინოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და შექმნას სამუშაო ჯგუფი, ხოლო ამის შემდეგ დააკორექტიროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და წარმოადგინოს შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის შექმნას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დაგეგმვის, შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას. სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესწავლას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას და უფლებამოსილი პირის მიერ არსებული ცვლილებების ბრძანებით დამტკიცებას.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №41.482514214 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, არის ციკლური, დამტკიცებულია 5 წლის ვადით, დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა როგორც ცხრილის სახით ასევე ნარატიული ჩანაწერით, წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არ არის სრულყოფილი, სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი არის სამი მიზანი, მიზანი 2 და მიზანი 3 - ში გაერთიანებულია დამატებით კიდევ სხვა მიზნები, ასევე არ არის გაწერილი შესაბამისი ამოცანები, ხოლო ცხრილის სახით წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები არ არის მკაფიო, შინაარსობრივად ამოცანას პასუხობს. ასევე მე-4 მიზანი და ამოცანა ერთი შინაარსისაა. არ არის შესაბამისობაში დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. არ მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და სტრატეგიული გეგმა დააკორექტიროს იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მისიასთან, გამოკვეთილი იყოს სტრატეგიული მიზნები და ჩაშლილი იყოს შესაბამისი ამოცანები.



## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს გაერთიანების დირექტორის მიერ სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შესატანად სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ჩატარებას. ჯგუფის მიერ, სტრატეგიული გეგმის შესაბამისობაში მოყვანას მისისასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, ასევე, მისიასთან თავსებადი მიზნებისა და მიზნების შესაბამისი ამოცანების გაწერას. სტრატეგიული გეგმის ცვლილებებით დამტკიცებას უფლებამოსის პირის ბრძანებით. ცვლილებაშესული სტრატეგიული გეგმის გაცნობას დაინტერესებული მხარეებისთვის.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „სამოქმედო გეგმა,“ რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის N ბ41. 48251711 ბრძანებით. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, მეთოდოლოგიაში არის ჩანაწერი სადაც აღნიშნულია, რომ მორგებულია კალენდარულ წელს, თუმცა სამოქმედო გეგმაში შესრულების ვადაში ხშირ შემთხვევაში გაწერილი

არ არის კონკრეტული დრო. მითითებულია „მთელი წლის განმავლობაში“. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას. სტრატეგიულ გეგმაში არსებული მიზნები არ არის თანხვედრაში სამოქმედო გეგმის მიზნებთან. სტრატეგიულ გეგმაში 4 მიზანია, ხოლო სამოქმედო გეგმაში 14. ასევე სამოქმედო გეგმაში არ არის სავალდებულოდ შესავსები ველებიდან შემდეგი ველი- „შესრულების გაზომვადი ინდიკატორი“ არ არის განსაზღვრული აქტივობებისთვის კონკრეტული ბალები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და სამოქმედო გეგმა დააკორექტიროს იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან. გაითვალისწინოს სავალდებულოდ შესავსები ველები და განსაზღვროს აქტივობებისთვის კონკრეტული ბალები.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და სამოქმედო გეგმიდან გადმოიტანოს სტრატეგიული მიზანი და ის ამოცანა რომლის განხორციელებასაც გეგმავს დაწესებულება იმ წელს.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანას, სადაც გათვალისწინებული იქნება:



ა)სამოქმედო გეგმის მიზნების თანხვედრა სტრატეგიული გეგმის მიზნებთან;  
ბ) მიზნების შესაბამისი ამოცანების გაწერა;

გ) სამოქმედო გეგმაში სავალდებულოდ შესავსები ველების შეტანა: "შესრულების ინდიკატორი" და "შესრულების ვადები";

დ) სავალდებულო ველების შევსება.

ცვლილებებშესული სამოქმედო გეგმის დამტკიცებას უფლებამოსილი პირის მიერ და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, რომელიც არ შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

გაწერილი არ არის აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. არ არის გაწერილი აქტივობის შესრულების კონკრეტული ვადები, ძირითადად მითითებულია მთელი წლის მანძილზე. გაწერილია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

## რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, რეალისტური ვადები.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანას, სადაც გათვალისწინებული იქნება:

- ა) აქტივობები, რომელიც შესაბამისობაში იქნება სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან.
- ბ) შესრულების გაზომვადი ინდიკატორები;
- გ) აქტივობის შესრულების კონკრეტული ვადები.

ცვლილებებშესული სამოქმედო გეგმის დამტკიცებას უფლებამოსილი პირის მიერ და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

**5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას**

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41. 48251422 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ფორმას და პერიოდულობას. (მუხლი 14, 15) სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისთვის და შეფასებისთვის გაერთიანება იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2,5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედოს შემთხვევაში კვარტლურად. შეფასებას კი წლის ბოლოს. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების დრო არ დამდგარა. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 22 მაისს და სამოქმედო გეგმა დატკიცებულია 2025 წლის 20 ივნისს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

### რეკომენდაცია

.....

.....

.....

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერ

„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“- ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41.48251422 ბრძანებით. მუხლი 15. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება. წარმოდგენილია შემდეგი სახის ჩანაწერი: მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

საანგარიშო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით.

სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით. გაერთიანება უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ.

ანგარიშ(ებ)ის გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები.



სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოქვეყნების დრო არ დამდგარა, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ყოველ 2,5 წელიწადში, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი კვარტლურად შეფასება კი წლიურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N ბ41. 48251422 ბრძანება.



2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის ბ41. 482514214 ბრძანება.
3. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის N ბ41. 48251711
4. ინტერვიუს შედეგები.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება         |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2. კურიკულუმი <sup>3</sup>

### პროგრამის სახე

#### 1. სკოლამდელი აღზრდის და განათლების პროგრამა.

<sup>3</sup>მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

## კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის (I-II ნაწილი).

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (აქტივობათა კრებული I-II ნაწილი).

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

#### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმით:

1. „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში I-II ნაწილი, პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის

2. სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული I - II ნაწილი

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N 841.48251427 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება რომ კურიკულუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს დაწესებულების სტატუსის მაძიებელი წინასწარ არის შერჩეული.

აღნიშნული კურიკულუმებია: ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში I-II ნაწილი, პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 22/05 №482514215 ბრძანებით და სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული I-II ნაწილი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 22 მაისი №41.482514216 ბრძანებით.

დაწესებულებამ“კურიკულუმის შეჩვევის /შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესაბამისად ვერ წამოადგინა: მუხლი 2. (კურიკულუმის შერჩევა)

1.პუნქტის კურიკულუმის შერჩევის პროცესის შემდეგი ეტაპები:

- ა)კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;
- ბ)ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;
- გ)კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;

საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაწესებულების მეთოდისტი რეგულარულად მართავდა მსჯელობებსა და გუნდურ განხილვებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება წინასწარ არის შერჩეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს ”კურიკულუმის შეჩვევის /შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი. მუხლი 2. (კურიკულუმის შერჩევა)

1. პუნქტის კურიკულუმის შერჩევის პროცესის შემდეგი ეტაპები:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;

გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;

კერძოდ: წარმოადგინოს პროცესის ამსახველი დოკუმენტები, მტკიცებულებები, გადაწყვეტილების მიღების ფოტომასალა, ოქმები.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს ბრძანებით კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნას, ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობას და ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოებას. კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოებას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

**2 დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას**



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება: ბავშვის განვითარების ყველა სფეროს დაფარვაში თამაშზე დაფუძნებული სტრატეგიებით, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, ოჯახთან თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობით, ინკლუზიური განათლების დანერგვით, განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისთვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

1) „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: კურიკულუმი უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში. ითვალისწინებს ბავშვის უნიკალურ შესაძლებლობებს. ბავშვი სწავლობს კეთებით, კვლევა-აღმოჩენით. თამაში აღიარებულია როგორც ბავშვის მთავარი სასწავლო აქტივობა, რომელიც ქმნის სრულფასოვან საგანმანათლებლო გამოცდილებას, მოტივაციას, წარმოსახვას, სოციალიზაციას რაც ხელს უწყობს ბავშვების თვისუფალ არჩევანს, აქტიურ ჩართულობას, თვითგამოხატვას და დამოუკიდებლობას.

2) შერჩეული კურიკულუმი სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში. კურიკულუმი მოიცავს მიზანმიმართულ სტრუქტურირებულ თავისუფალი თამაშით სწავლებას. რომლის მიზანია: ბავშვის სწავლისა და განვითარების მხარდაჭერა, ისეთ გარემოში სადაც ის თამაშის მეშვეობით ეუფლება სასკოლო მზაობის აუცილებელ უნარებს, ბავშვი სწავლობს კეთებით, ცდით, ექსპერიმენტირებით, იდეების მოსინჯვით, ივითარებს მედეგობას, ასერეტულობას, პასუხისმგებლობას, დამოუკიდებლობას. თავისუფლად სვამს კითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს და თავდაჯერებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



.....  
.....  
.....  
რეკომენდაცია

.....  
.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....  
.....  
4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან /თემთან რეგულარულ შეხვედრებს, მათი ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების მნიშვნელობის სწავლების შესახებ. თემის რესურსის გამოყენებას მშობლის/კანონიერი



წარმომადგელის ჩართულობას, მათი გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობების დროს.

კურიკულუმების განხორციელებისთვის გათვალისწინებული აქტივობები გაწერილია “საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N ბ41.48251424 ბრძანებით. აგრეთვე „საკომუნიკაციო გეგმის წესი“-ით რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.მაისი N ბ 41. 48251432 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ითვალისწინებს მრავალფეროვან ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება კურიკულუმის მიზნებში, შინაარსში მეთოდებში /შეფასებაში. ბაღში ბავშვების მიღება, თამაშით სწავლება, დიდი და მცირე ჯგუფური აქტივობები და სხვა რუტინული საქმიანობები, მრავალფეროვანი აქტივობები, დაგეგმილ და დაუგეგმავი როტაციები, ტრანზიციები, დისკუსია, ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება, ეზოს/ გარე აქტივობები. რაც ხელს უწყობს ბავშვის მონაწილეობას შემეცნებით, ფიზიკურ, სენსორულ, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას, დამოუკიდებელი ადაპტური უნარ-ჩვევების განვითარებას.

შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგში: კურიკულუმი მოიცავს ბავშვების მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობას: თამაშით სწავლებას, კვლევა აღმოჩენას, ჯგუფის ერთობას, დისკუსიას, აზრის გამოთქმას, მოსმენას, წიგნებთან ურთიერთობას, წერითი უნარის განვითარებას, დაკვირვებას, ბუნებრივი, მეორადი, ხელოვნური, განმავითარებელი მასალის გამოყენებას სწავლების პროცესის მიმდინარეობისას, გამოცდილების მიღებას დღის მანძილზე დაგეგმილი/დაუგეგმავი საქმიანობების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან რაც დასტურდება: „კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისი N ბ41.48251427 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლში (კურიკულუმის გაზიარება) იკითხება შემდეგი ინფორმაცია:

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს:

1. დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:



ა) მშობლები;

ბ) დაწესებულების პერსონალი;

გ) თემი, მუნიციპალიტეტი.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები გაზიარებულია პერსონალთან, თემთან პირდაპირი შეხვედრების გზით.

რაც დასტურდება: “საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი”-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისი N 41.48251424 ბრძანებით. აგრეთვე „საკომუნიკაციო გეგმის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.მაისი N 41. 48251432 ბრძანებით.

დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს დროს აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, ასევე მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ შერჩეული კურიკულუმები გაზიარებულია მათთან დაწესებულების მეთოდისტის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა



## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში I-II ნაწილი, პრაქტიკული სახელმძღვანელო სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 22/05 N 41.482514215 ბრძანება
2. სასკოლო მზაობის პროგრამა აქტივობათა კრებული I-II ნაწილი 2025 წლის 22/05 N 41.482514216 ბრძანება
3. ”კურიკულუმის შეჩვევის /შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ‘2025 წლის 22 მაისი N 41.48251427 ბრძანება
4. საკომუნიკაციო გეგმის წესი ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.05 N 41.48251432 ბრძანება.
5. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის” ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისი N 41.48251424 ბრძანება
6. ინტერვიუს შედეგები.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა            |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის N ბ41. 48251425 ბრძანებით. წესში გაწერილი პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: მოკლევადიანი (ერთკვირიანი) გეგმები, გრძელვადიანი (წლიური) გეგმები.

დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი ყოველდღიური, გრძელვადიანი წლიური რომელიც არ შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წესში გაწერილი პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ არ არის დამტკიცებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. აღნიშნული არ შეესაბამება მარეგულირებელ წესში განსაზღვრულ მოთხოვნებს, რაც ვლინდება წარმოდგენილ მოკლევადიან გეგმებში .

დაწესებულება დაკომპლექტებულია სამ ასაკობრივ ჯგუფზე, აქედან 2-3 წლიანი ასაკობრივი ჯგუფი, 4-5 წლიანი და სასკოლო მზაობის ჯგუფი. დაწესებულება აწარმოებს ყველა ასაკობრივ ჯგუფზე ერთ მოკლევადიან გეგმის ფორმას, „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ41. 48251425 ბრძანებით. მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა. პუნქტი 1, 2, 3. დაწესებულებამ მოთხოვნის მიუხედავად ვერ წარმოადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების ბრძანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

- ა) ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორ“-მა დაამტკიცოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმა შერჩეული კურიკულუმების მიხედვით.
- ბ) დაწესებულებამ მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა პუნქტი 1, 2, 3 მიხედვით ჩამოაყალიბოს კურიკულუმების შესაბამისი გეგმები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: მოკლევადიანი გეგმის ფორმის დამტკიცების შემდეგ, გეგმის წამოებისას მოკლევადიან გეგმაში იკითხებოდეს ჩანიშნვები, მინიშნებები, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება დღის ყველა მონაკვეთში საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისად.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმების შემუშავებას შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად, დაწესებულების დირექტორის მიერ გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმირების დამტკიცებას, კურიკულუმის შესაბამისად, ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით გეგმების შემუშავებას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს გეგმების შემუშავების პრაქტიკა. აგრეთვე „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 841. 48251425 ბრძანებით.

დაწესებულება აწარმოებს ყველა ასაკობრივ ჯგუფზე მოკლევადიან გეგმის ფორმას. დაწესებულების მიერ ხდება კურიკულუმის გეგმების შემუშავება. მოკლევადიანი გეგმა შერჩეული კურიკულუმების შესაბამის ფორმებში არ არის გაწერილი. შესაბამისი გეგმების (გრძელვადიანი, მოკლევადიანი) შეთანხმებული შემუშავება ხდება მოკლევადიანი გეგმის ერთ ფორმაში. გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს საფუძველზე და წარმოდგენილ გეგმებში, გეგმების შედგენის პროცესში იკვეთება ჯგუფის აღმზრდელისა და მისი თანაშემწის ჩართულობა, საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება პროცესის დაგეგმვის მიმდინარეობა. საგანმანათლებლო

პერსონალი აღნიშნავს, რომ სამომავლოდ გეგმავენ ყოველი კვირის პარასკევს შეიკრიბონ და განიხილონ მომდევნო კვირის გეგმა შესაბამისი თამაშებით და აქტივობები, თემში ასათვისებელი ვიზიტებით შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის , შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ41. 48251425 ბრძანებით. დაწესებულებამ შეიმუშოს გაწერილი წესის მუხლი.3 (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) მუხლი 4.(ინდივიდუალიზაციის ასპექტი) ქვეპუნქტების მიხედვით შესაბამისობაში მოიყვანოს მოკლევადიანი გეგმის ფორმა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 841. 48251425 ბრძანებით. წესი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შემდეგი დოკუმენტაციის წარმოებას:

1. დღის განრიგი;
2. აღმზრდელის პორტფოლიო;
3. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
4. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო;

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებს რაც ვლინდება იმაში რომ:

**დღის განრიგი** არის ჯგუფში წარმოდგენილი, გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები.

**აღმზრდელის პორტფოლიოში წარმოდგენილია:** დღის განრიგი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები. მოკლევადიან გეგმის ფორმაში იკითხება რეფლექსიის გრაფა, რომელსაც ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაკვირვების დროს გამოიყენებენ, აღნიშნული დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიუთი.

**სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოში** (ფსიქოლოგი, მუსიკის პედაგოგი) წარმოდგენილია სამუშაო გეგმა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები. სადაც გაწერილი აქტივობებით, ინდივიდუალურ მიდგომებით მოხდება ბავშვის ინტერესებზე დაფუძნებული თამაშების, აქტივობების დაგეგმვა.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის ინტერესებს, რაც ვლინდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წარმოდგენილი გეგმებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

ა) ყველა ვიზუალური მინიშნება განთავსდეს ბავშვების სიმალლეზე. დღის განრიგში შეიტანოს დროის ელემენტი/საათი, ხემსი. სასკოლო მზაობის ჯგუფის შესაბამისად შექმნას დღის განრიგი შესაბამისი კომპონენტების (სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის შესაბამისი სივრცეების სახელწოდება, საათი, ბავშვის ფოტოები სხვადასხვა პროცესის დროს გადაღებული) გათვალისწინებით.

ბ) მულტიმედია-ტექნოლოგიური გუნდის შეხვედრა დაგეგმოს მეთოდისტმა არსებულს პერსონალთან ერთად კერძოდ: აღმზრდელთან, ფსიქოლოგთან, მუსიკის პედაგოგთან, სადაც ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა მოხდება ბავშვების საჭიროებების მხარდასაჭერად.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....



#### 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო .

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს რაც ვლინდება

**აღმზრდელის პორტფოლიო :** მოკლევადიან გეგმებში არ იკითხება ინდივიდუალიზაციის გრაფა,რომელიც ბავშვის საჭიროებებზე დაკვირვების და ინდივიდუალიზაციის დაგეგმვისთვის გამოიყენება. არსებული თანხვედრაში არ მოდის დაწესებულების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის , შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-თან , რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 41. 48251425 ბრძანებით.

**მუხლი: 3( საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა)** ამ წესის „ ა,ბ,გ“პუნქტით განსაზღვრულია :

- ა)ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;
- ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები;
- გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი.

**მუხლი.4 (ინდივიდუალიზაციის ასპექტი.)** პუნქტი1.პუნქტი 2. მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის

შეტანა /გაწერა არ არის მოკლევადიან გეგმაში გაწერილი მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოში ათავსებს და აწარმოებს ბავშვის ჩეკლისტებს, დაკვირვების, შეფასების ფორმებს. ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიოში აღმზრდელი ათავსებს ბავშვის ნამუშევრებს, შეფასების ფორმებს . აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

ინიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს: „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 41. 48251425 ბრძანებით.

მუხლი :3 (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ) ამ წესის „ა,ბ,გ“ პუნქტით განსაზღვრული ა)ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი. მუხლი.4( ინდივიდუალიზაციის ასპექტი). პუნქტი 1. პუნქტი 2. საფუძველზე ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორმა, დაამტკიცოს მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის გრაფა მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს მოკლევადიან გეგმაში

ინდივიდუალიზაციის გრაფის დამატებას და მის წარმოებას მარეგულირებელი წესის შესაბამისად. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც ვლინდება იმაში რომ საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს თამაშზე დაფუძნებული სწავლებით, ჯგუფში არსებული ბუნებრივი და მეორადი რესურსის გამოყენებით, დასტურდება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმებით, წარმოდგენილი გეგმებით, რაც ასევე გამოიკვეთა ინტერვიუს საფუძველზე აღმზრდელთან. დიდი ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც ვლინდება მოკლევადიან გეგმაში გაწერილ რუტინულ აქტივობებში, როტაციებში და დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს საფუძველზე.

მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც იკითხება მოკლევადიან გეგმებში გაწერილი ტრანზიციის თამაშებით, ჯგუფში წარმოდგენილი ვიზუალური ბარათებით, ტრანზიციის დროს დაგეგმილი განსახორციელებელი ენერჯაიზერით, ვარჯიშებით, სუნთქვითი ვარჯიშებით, წარმოსახვითი თამაშებით, კოვზების ჩხარუნით, სიმღერებით, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქვთ ინფორმაცია და მზაობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაში, შემოქმედებითი თამაში, კვლევის ექსპერიმენტული თამაში, სენსორული თამაში, საგნებით თამაში, მოძრავი თამაში, მანიპულაციური თამაში, კონსტრუქციული თამაში, სამაგიდო და წესებიანი თამაში, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვებს შესაძლებლობა მიეცეთ აღნიშნული თამაშის ტიპებით ჩაერთონ, როგორც ჯგუფში დაგეგმილ თამაშებში ასევე ეზოში .



დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი თამაში 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში მთლიანად ეფუძნება თამაშს, ბავშვებს აქვთ ინდივიდუალური და ჯგუფური თამაშები ყოველდღიურად ჩართვის შესაძლებლობები, რაც ვლინდება აღმზრდელის ინტერვიუს საფუძველზე, მოკლე და გრძელვადიან გეგმებში გაწერილი თამაშებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

### რეკომენდაცია

.....

.....

.....

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ41. 4825142 ბრძანებით.

მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და/ან პირდაპირი შესყიდვის გზით. „ჩანაწერი მექანიზმიდან”

საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით;
2. შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბაღების მიხედვით;
3. შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/ შესყიდვის განხორციელება;
4. შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა, შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბაღების მიხედვით;
5. შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში, ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით);

საბავშვო ბაღის მენეჯერი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ბავშვის/ჯგუფის ინტერესების, ინდივიდუალური საჭიროებების, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობების, საგანმანათლებლო რესურსების განხორციელებისთვის გამოიყენებს თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტს.

ასევე შესაძლოა გამოიყენებულ იქნეს რესურსების მოძიების შემდეგი ალტერნატიული გზები

ა) მოგროვება;

მშობლებისა და პერსონალის მიერ მრავალფეროვანი რესურსის შეგროვება კურიკულუმის შესაბამისად;  
**ბ) დონაცია;**

სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება;  
**გ) დამზადება;**

საკუთარი ძალებით, ასევე მშობელთა მონაწილეობით მრავალგვარი მეორადი და ღია მასალებით რესურსის დამზადება;

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა იგეგმება მექანიზმის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე მექანიზმი იძლევა საშუალებას უზრუნველყოს ბაღი რესურსებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, რაც მდგომარეობს შემდეგში: დაწესებულებამ წამოადგინა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. ით, რომელიც დამტკიცებულია „ა(ა)იპ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 41. 4825142 ბრძანებით. იგი მოიცავს: თითოეულ ჯგუფზე სახატავი საშუალებები არანაკლებ 3 განსხვავებული ზომის.

სხვადასხვა ზომის, ფორმის, კუბები არანაკლებ 3. ველოსიპედი არანაკლებ 3 სხვადასხვა ზომის. ჯგუფური მუშაობის რესურსი არანაკლებ 7 განსხვავებული შინაარსის. ემოციების იდენტიფიცირების რესურსი არანაკლებ 2. როლური თამაშები არანაკლებ 4. დიდი ზომის ხის კუბები (ბლოკების) ნაკრები 1. ხის კუბურების ნაკრები 2. ხის და კორპის დაფები 2. ქაღალდი 5. მაკრატელი 1 ც, 2 ბავშვზე.

არსებული ჩამონათვალი შერჩეული კურიკულუმის საგანმანათლებლო რესურსების ტიპებთან თანხვედრაშია. ჩამონათვალი ვიზიტის დროს გადამოწმდა და გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ჩამონათვალი ადგილზე ბაღის მიერ წარმოდგენილ ინვენტარიზაციის დოკუმენტში (2024 წელი) არ ფიქსირდება სრულყოფილად.

ინვენტარიზაციით არ დასტურდება რესურსების არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მაგ: არ იკითხება შემდეგი: ქაღალდი 5. მაკრატელი 1 ც, 2 ბავშვზე. სახატავი საშუალებები (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, საღებავები, პასტელი) ჭადრაკი, კარტი, მონოპოლი, ველოსიპედი, ხისა და კორპის დაფა.

2. საგანმანათლებლო რესურსი, წიგნების აღრიცხვის/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ადგილზე დათვალერებით გამოიკვეთა არ არის დაწესებულების ბალანსზე, რაც არ დასტურდება ბაღის სახელზე არსებული ინვენტარიზაციის დოკუმენტით (2024 წელი)

ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან გათვალისწინებით რესურსის საკმარისობა ვერ დადგინდა ბაღის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის დოკუმენტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

დაწესებულებმა უზრუნველყოს კურიკულუმის შესაბამისი რესურსის არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ: უზრუნველყოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის მუდმივად ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო პროცესში, კონკრეტულად რაც განსაზღვრული აქვთ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 841. 4825142 ბრძანებით.

მნიშვნელოვანია არსებული რესურსის ფლობა იკითხებოდეს ბაღის ინვენტარიზაციის დოკუმენტში (2024 წლის 1 დეკემბერი)

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: ბაღმა თავად შეადგინოს/სრულყოს ცხრილი და დაამტკიცოს ის კურიკულუმის ჩარჩოსთან ერთად. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ცხრილი ბაღს ასევე დაეხმარება ამ რესურსების შესყიდვის პროცესის ორგანიზებაში.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს ინვენტარიზაციის ჩატარებას და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მიხედვით მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის დადგენას. განსაზღვრული რესურსის დამტკიცებას. განსაზღვრული რესურსის ინვენტარიზაციის დოკუმენტში ასახვას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

#### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად გარემოს მოწყობისას გათვალისწინებულია სივრცის ხელმისაწვდომობა რათა დამოუკიდებლად შეძლონ ბავშვებმა მასალასთან წვდომა, ბავშვებში ცნობისმოყვარეობის, ინიციატივის, სოციალიზაციის წახალისება თამაშზე დაფუძნებული აქტივობების ჯგუფის წესების, ამინდის კალენდრის გამოყენებით არის

გათვალისწინებული, ავეჯი საბავშვო ზომისაა, ფერები ნეიტრალური, ოთახები სხვადასხვა სივრცის ტიპებად არის დაყოფილი.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისი არ არის, რაც ვლინდება ჯგუფური ოთახების სივრცეში. ცენტრებში მისასვლელები არის ვიწრო, ავეჯი და აღჭურვილობა ადვილად არ არის ხელმისაწვდომი, სივრცეებზე არის დასახელებები, მაგრამ არასაკმარისაა მითითებული ვიზუალური ნახატ-სიმბოლოები ცენტრების შესაბამისად, ჯგუფის გარემო იძლევა ცვლილებების შეტანის საშუალებას, ჯგუფი ნაწილი დაყოფილია ცენტრებად: წიგნიერების, ხელოვნების, კუბურების, მეცნიერების, დრამატული თამაშების ცენტრი, წყნარი სივრცე. სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში კურიკულუმის მიხედვით ჯგუფის ცენტრების სახელწოდებები სრულად არ არის ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი სივრცეების სახელწოდებებით დაყოფილი.

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისი არ არის, რაც ვლინდება ვიზუალური დათვალიერების საფუზველზე. ეზოში გამოყოფილია ადგილები მოძრავი თამაშებისათვის, აქვთ სივრცე მხიარული თამაშებისთვის, „საჩრდილობელი, სასრილო, საქანელა, ეზოში არ არის საქვიშე.

ეზოში გამოყოფილ სივრცეებს ვიზუალური მიმანიშნებელი/ სახელწოდებები არ აქვთ.

აღნიშნული დასტურდება შიდა და გარე სივრცის ვიზუალური დათვალიერებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის შესაბამისი ჯგუფური ოთახის და გარე/ეზოს სივრცის მოწყობა შერჩეული კურიკულუმების შესაბამისად.

## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

ა) უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინებით დაწესებულების მეთოდისტმა აღმზრდელებთან შეთანხმებით შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად გადააწყოს ცენტრები და ჯგუფში შექმნას ადაპტური გარემო. კერძოდ ჯგუფის სივრცის შუა ნაწილი გაათავისუფლოს მაგიდებისგან/სკამებისგან და განათავსოს დაწესებულების კედლებთან, გამოყოს ცენტრები შესაბამისი ვიზუალური მინიშნებები.

ბ) აღმზრდელის სამუშაო მაგიდა არის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, სასურველია ჯგუფიდან სამუშაო მაგიდის გატანა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საძინებელში.

გ) ჯგუფის შესასვლელში არსებულ კარადებს და საძინებელში არსებულ საწოლებს გაუკეთდეს ვიზუალური ერთმანეთის მსგავსი მინიშნებები რომ ბავშვებს გაუადვილდეთ სივრცეში ორიენტაცია.

დ) ეზოს გარე/ სივრცე დაიყოს ნაკვეთებად, ფუნქციურ სივრცეებად შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის ისე მოწყობას, რომ ა) გაფართოვდეს ცენტრებში მისასვლელები, ბ) ავეჯი და აღჭურვილობა ადვილად იყოს ხელმისაწვდომი, გ) ცხადად იყოს გამოკრული სივრცეებზე დასახელებების მითითებული ვიზუალური ნახატ-სიმბოლოები ცენტრების შესაბამისად. დ) სასკოლო მზაობის პროგრამა თამაშის კურიკულუმის მიხედვით ჯგუფის ცენტრების სახელწოდებები სრულად იყოს ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი სივრცეების სახელწოდებებით დაყოფილი. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად – ეზოში მოეწყოს საქვიშე, განთავსდეს ეზოში გამოყოფილ სივრცეების

ვიზუალური მიმანიშნებელი/ სახელწოდებები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა და გარე სივრცის/ეზოს მოწყობა დაწესებულებაში გადანაწილებული და ორგანიზებულია ბავშვების მრავალფეროვანი გამოცდილების, სხვადასხვა უნარების: მედეგობის, დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის განვითარების ხელშესაწყობად .

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში სივრცეები გამოყოფილია შესაბამისი რესურსით, მუსიკის დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, საგანმანათლებლო რესურსი განლაგებულია ღიად ბავშვების სიმაღლეზე, რაც ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელი მოქმედებების შესაძლებლობას. გარემო ასახავს კურიკულუმის მოთხოვნებს, ჯგუფის ერთობის „კვლევა“- აღმოჩენის, ბავშვის პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, სხვადასხვა განმავითარებელი ბუნებრივი და მეორე მასალა ორგანიზებულად არის განლაგებული შესაბამის ცენტრებში და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ღია თაროებზე.

ეზოში წარმოდგენილია: სასრიალო მოწყობილობა, საქანელები, ტალახის სამზარეულო, ხის მორები, ბაღის ეზო მოწყობილია ნაწილობრივ ფუნქციურ სივრცეებად, ბავშვებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შესათავაზებლად, საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ჯგუფში ასევე ეზოში, რაც ვლინდება ვიზუალური დათვალიერებით არსებული რესურსი განთავსებულია ბავშვის სიმაღლეზე, ღია

თაროებზე. გარემოს ამგვარი ორგანიზება ზრდის ბავშვების დამოუკიდებლობის ხარისხს, აძლევს შესაძლებლობას თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება რა ტიპის რესურსით ითამაშონ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: ცენტრებში არსებული მასალა განთავსდეს ლოგიკურად , ხელმისაწვდომად, ყველა ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი სახელწოდებით, ვიზუალური ნახატ- სიმბოლოებით .

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

**3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა**

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, დასვენებისა და განმარტოებისთვის, რაც ბავშვს შესაძლებლობას აძლევს

კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების მიხედვით შეძლოს მრავალფეროვან პროცესში ჩართულობა .

აქტიური და პასიური თამაშებისთვის ოთახი დაყოფილია ცენტრებად, თითოეული ცენტრი აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და ღია რესურსით. გარემოში წარმოდგენილია ცენტრები, მათემატიკის ცენტრი, დრამატული თამაშების ცენტრი, კუბურების ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, წიგნიერების ცენტრი, სადაც ბავშვებს წიგნების დათვალიერების სხვადასხვა ტიპის თამაშების წარმართვის შესაძლებლობა აქვთ.

მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივი მუშაობისათვის, ოთახი თემატურ ცენტრებადაა დაყოფილი და ფართობი იძლევა დიდ ჯგუფებში მუშაობას ისე, რომ ავეჯის გადაადგილება არ არის საჭირო. ბაღში არის ასევე დარბაზი სენსორული თამაშებისთვის რომელიც აღჭურვილია ფორტეპიანოთი, მუსიკალური მარაკასებით, სარიჩხინოებით, მინიატურული მუსიკალური ინსტრუმენტებით,

დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა ეს ვლინდება შემდგომში: ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის წყნარი სივრცე გამოყოფილი, ფარდით, ბალიშით ფაზლით სადაც ბავშვებს შეუძლიათ არსებულ სივრცეში განმარტოება , მუსიკის მოსმენა, თამაში. რაც დასტურდება ჯგუფების ვიზუალური დათვალიერებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

## რეკომენდაცია

.....

.....

.....



## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს:

ა) წრეში შეხვედრის სივრცეში განათავსოს ხალიჩა/ფაზლი (პუფები ან ბალიშები) ,ვიზუალური დღის განრიგი, ამინდის კალენარი, ჯგუფის წესები.

ბ) ყველა ასაკობრივ ჯგუფში წყნარი სივრცე გამოიყოს ფარდით, ხალიჩით ისე რომ ქმნიდეს ცენტრის სიმყუდროვის შესაძლებლობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

### 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, აღნიშნული წარმოდგენილია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია „ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ41. 4825142 ბრძანებით. მუხლი: 8. პუნქტი 2 განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდებს.

საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისას იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები

ბ) მოკლე კიხვარები

გ) ბავშვის შეფასება, რომელიც ივსება ორჯერ (დეკემბერი, ივნისი);

ბ) ჩეკლისტები - რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ხუთ სფეროს.

გ) ბავშვის შეფასების ფორმა.

აღნიშნული თანხვედრაშია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ წესთან: ბავშვის შეფასების და დაკვირვების ფორმები დაწესებულებას წესის შესაბამისად აქვს დამტკიცებული ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ. მუხლი.8 ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის მეთოდები. წესს თან ახლავს აღნიშნული ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ41. 4825142 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ბავშვის ინტერესების საჭიროებების პროგრესის გამოვლენისთვის შემდეგი დოკუმენტაციის წარმოებას: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერს, ნამუშევრების პორტფოლიოს. შეფასება ემსახურება:

- ა) თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას;
- ბ) თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას;
- გ) თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას.

საგანმანათლებლო პერსონალის შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს გამოვლენას, რაც დასტურდება, როგორც ინტერვიუს საფუძველზე აღმზრდელთან, ასევე საგანმანათლებლო პერსონალთან. (აღმზრდელი, მუსიკის მასწავლებელი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ ბავშვის მიერ შექმნილ ნამუშევარზე, აპლიკაციაზე, ჯგუფურ სამუშაოზე, ინდივიდუალურ ნამუშევრებზე ასახოს მათი აზრის/ამბის თხრობის ჩანიშვნა, სადაც გამოიკვეთება მათი სურვილები, ინტერესები არსებულ თემასთან დაკავშირებით.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდიფიცირებისთვის, აღნიშნული სკითხი იკითხება „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“-ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ41. 4825142 ბრძანებით.

ამ წესის მე-8 მუხლში( ბავშვის დაკვირვების და შეფასების მეთოდები) იკითხება შემდეგი ინფორმაცია:

პუნქტი 9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ .

პუნქტი 10. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიან გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს;

შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდულიზაციისთვის, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმების შედგენაში და მის კორექტირებაში. ინდივიდუალური ადაპტირებული რესურსის უზრუნველყოფაში.

აღმზრდელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია მას სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაშიც ეხმარება, რაც ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვასთან, მათი პროგრესის შეფასებასთან არის დაკავშირებული რაც აღმზრდელს აძლევს შესაძლებლობას ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმოს მოდიფიცირება და გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და მოკლევადიან გეგმაში გაწეროს მოდიფიცირების ჩანიშვნა ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების, საუკეთესო ინტერესების, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.



## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

### 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. რაც წარმოდგენილია „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 841. 4825142 ბრძანებით. მუხლი.8 ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები, პუნქტი 5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

„გ“ პუნქტით „ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში;  
აღნიშნული პროცესი მარეგულირებელი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

ბავშვის შეფასების პროცესში იგეგმება ოჯახის ჩართულობა, რაც დასტურდება, ინტერვიუს საფუძველზე აღმზრდელთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია



## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის ბრძანება N 341. 4825142;
2. ინვენტარიზაციის დოკუმენტი (2024 წლის 1 დეკემბერი);
3. აღმზრდელის პორტფოლიო;
4. საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
5. ბავშვის განვითარების ინდივიდუალური პორტფოლიო;
6. გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;



7. დღის განრიგი;
8. ინტერვიუს შედეგები;
9. ვიზუალური დათვალიერება.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება       |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |



## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა რაც თანხვედრაშია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-თან, რომელიც დამტკიცებულია “ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ 41. 4825142 ბრძანებით.

დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში ახორციელებს ცვლილებას, მუხლი 2 ის მიხედვით.

კურიკულუმის შეფასება ეფუძნება :

ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკის შეფასებას;

ბ) საგანმანათლებლო რესურსის შეფასებას;

გ) კურიკულუმის შესაბამისი ფიზიკური გარემოს შეფასებას;

დ) ბავშვის რეგულარულ დაკვირვებას შეფასებას;

ე) შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას ან ცვლილების განხორციელებას;



ყოველივე დასტურდება მენეჯერთან, მეთოდისტთან, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა „კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესის, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 41. 4825142 ბრძანებით, მუხლი. 4 -ის, კურიკულუმის შეფასება და განვითარების მიხედვით.

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად იწერება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.
2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, წელიწადში ერთხელ.
3. კურიკულუმის შეფასებისთვის ა(ა)იპ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანების მიხედვით, იქმნება სამუშაო ჯგუფი. რაც დასტურდება "სასწავლო სააღმზრდელო პროგრამის სამსახურის მიერ საბავშვო ბავშვებისა და საბავშვო ბაღების შემოწმების სახელმძღვანელო დოკუმენტებით", რომელიც დამტკიცებულია „ ა (ა) ი პ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 16 სექტემბერი N 41.48242607 ბრძანებით (ბრძანებას თან ერთვის სახელმძღვანელო დოკუმენტები დანართის სახით).

შეფასების შედეგებს აანალიზებს დაწესებულება, რაც ვლინდება/დასტურდება შემდეგში: დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება გაანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს, " კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესის, რომელიც დამტკიცებულია " ა(ა)იპ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 41. 4825142 ბრძანებით, მუხლი. 5-ის „ კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება“ მიხედვით.

1. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.
2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი; აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წესით და დაწესებულების ხელმძღვანელთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N ბ41. 4825142 ბრძანება
2. კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელ წესის ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N ბ41. 4825142 ბრძანება .



3. ა (ა) იპ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების” სასწავლო სააღმზრდელო პროგრამის სამსახურის მიერ საბავშვო ბავშვ-ბაღებისა და საბავშვო ბაღების შემოწმების სახელმძღვანელო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ დირექტორის 16 სექტემბერი N 41.48242607 ბრძანება
4. ინტერვიუს შედეგები.
5. ვიზუალური დათვალიერება.

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება        |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

#### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

##### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“. რომელიც დამტკიცებულია „ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 .05 N 41.48251424 ბრძანებით. დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს ( მუხლის 2 . პუნქტი 1. გ) ქვეპუნქტი).



დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა „საკომუნიკაციო გეგმის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 23.05 N ბ 41.48251432. ბრძანებით, სადაც იკითხება მშობელთა აქტივობათა და განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი, პერიოდულობის მითითებით. გაწერილი აქტივობებში იკითხება მშობლებთან შეხვედრები, სემინარები, მათი ჩართულობა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების დროს.

დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან თანამშრომლობასა. ( მუხლივ. პუნქტივ. დაგეგმილი აქტივობები მოიცავს ოჯახთან/ კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას.) გაწერილ აქტივობებში იკითხება ვიზიტი სკოლაში, მუზეუმში, ბიბლიოთეკაში, გალერიაში, სახანძროში, ახლომდებრე ტყე-პარკში და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

#### რეკომენდაცია

.....

.....

.....

#### რჩევა

.....

.....

.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 .05 N 841.48251424 ბრძანებით.

სამიზნე აუდიტორიის შერჩევა/ჩართულობა ეხება დაწესებულების შიგნით და მის გარეთ განსახორციელებელ ღონისძიებებს. აღნიშნული ღონისძიებები გაწერილია „საკომუნიკაციო გეგმის წესი“-ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.05 N 8 41.48251432. ბრძანებით. სადაც იკითხება თემში არსებული რესურსის გამოყენება მშობლების მიერ რესურსების მოზიდვა, აქტივობებში ჩართულობა, ბავშვების შეფასების პროცესში მონაწილეობა. აღნიშნული საკითხი იკვეთება ინტერვიუში დაწესებულების მენეჯერთან, მეთოდისტთან, აღმზრდელთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

### 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 .05 N 841.48251424 ბრძანებით. დაწესებულებამ წარმოადგინა „საკომუნიკაციო გეგმის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.05 N 8 41.48251432 ბრძანებით. აღნიშნული წესით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობის მრავალფეროვანი მეთოდები. თემთან ურთიერთობისას იყენებს პირისპირ შეხვედრებს, სატელეფონო ზარებს, ელექტრონულ ფოსტას. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციისთვის განსაზღვრული აქვს პირისპირ შეხვედრები, საინფორმაციო დაფები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სატელეფონო ზარები, სოციალური გვერდი, კითხვარები, წინადადების ყუთი.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

.....

.....

.....

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბარების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 .05 N ბ41.48251424 ბრძანება
2. საკომუნიკაციო გეგმის წესი ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.05 N ბ 41.48251432 ბრძანება.



### 3. ინტერვიუს შედეგები

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა                    |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

##### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას „ბავშვის უფლებების შესახებ“, ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ.

დაწესებულებამ წამოადგინა „საკომუნიკაციო გეგმის წესი“, რომელიც დამტკიცებულია (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.მაისი N ბ 41.48251432 ბრძანებით. რის საფუძველზეც დაწესებულება გეგმავს შიდა, გარე აუდიტორიასთან მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით პრეზენტაციების და ტრენინგების, პირისპირ შეხვედრების, დაგეგმილი სემინარების ჩატარებას.



ა) ”ბავშვის უფლებების შესახებ”

ბ) ”ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ”

რაც დასტურდება, დაწესებულების მენეჯერთან, მეთოდისტთან, აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულება აწარმოებს ბავშვების შეფასებას „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებელად უზრუნველყოფის წესი“-ის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მისის N 841. 4825142 ბრძანებით, მუხლი.9 პუნქტი 1 და პუნქტი 2-ის შესაბამისად.

აღმზრდელი შესაბამისი წესის მიხედვით სამომავლოდ გეგმავს ბავშვების დაკვირვებას, შეფასებას, მონაცემების შეგროვებას ბავშვის განვითარების მიმდინარეობის და შეფასების, შედეგების საჭიროებებზე რეაგირებისთვის. ბავშვის მდგომარეობას აღმზრდელი ინდივიდუალურად გააცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მშობლის უკუკავშირს დაადასტურებს მისივე ხელმოწერით. აღნიშნული საკითხის განხორციელებაზე მზაობა იკვეთება ინტერვიუში აღმზრდელთან და საგანმანათლებლო პერსონალთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

### 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას, რაც დასტურდება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების N ზ41.48251424 .2025 წლის 22 .05 ბრძანებით, „საკომუნიკაციო გეგმის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 22 მაისი N ზ 41.48251432. ბრძანებით .წარმოდგენილ გეგმაში იკითხება შემდეგი: მომზადება, შეხვედრა მშობლებთან, ბაღში და თემში ტრანზიცია. მეთოდისტთან, საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ გეგმავს ტრანზიციას ბიბლიოთეკაში, სკოლაში, სილამაზის სალონში, თონეში, თემში არსებული დაგეგმილი ტრანზიციები კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად არის გაწერილი დაწესებულების მიერ. რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და საგანმანათლებლო პერსონალთან, მეთოდისტთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ N ბ41.48251424 .2025 წლის 22 .05 ბრძანებით. მუხლი:6 . აგრეთვე, „საკომუნიკაციო გეგმის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ N ბ 41.48251432. 2025 წლის 23.05. ბრძანებით.

აღნიშნული წესის მიხედვით განსახორციელებელი აქტივობების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა, შეიძლება განხორციელდეს დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის დროს, კერძოდ: მშობელთა საერთო შეხვედრაზე (ინფორმაციის მიღება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე , მშობელთა წინადადებების და შენიშვნების ყუთის მიხედვით მათი ინტერესის გათვალისწინება და ა.შ.) წამოჭრილი საკითხები შეიძლება გახდეს აქტივობის ცვლილების საფუძველი.

საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს.



დაწესებულების მენეჯერი აღნიშნული წესის მიხედვით გეგმავს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის შეფასებისათვის მნიშვნელოვან კითხვარს:

ა)შესრულდა თუარა დაგეგმილი აქტივობები?

ბ)როგორ შესრულდა?

გ)საჭირო გახდა თუარა ცვლილებების განხორციელება პროცესში?

დაწესებულების ადმინისტრაციის და საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუს დროს ვლინდება, რომ გეგმავს ეტაპობრივად დანერგოს ცვლილებები მშობლებთან უკუკავშირის და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....



### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბარების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისი N ბ41.48251424 ბრძანება
2. საკომუნიკაციო გეგმის წესი ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23.მაისი N ბ 41.48251432. ბრძანება
3. ინტერვიუს შედეგები

|                                                 |                                               |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                               |                                                 |                                         |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება   |                                               |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა<sup>4</sup>

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

#### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

##### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხა ვერ აკმაყოფილებს იმ პროცესების შესრულებას რაც გაწერილი აქვს 4.2. კომპონენტში. არ არის აღმზრდელ პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა დაცული.

ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება ვერ დასტურდება, ბაღს არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პედაგოგი და ლოგოპედი. ჰყავთ მხოლოდ ფსიქოლოგი. (ბაღის მენეჯერთან ინტერვიუთი დასტურდება ბაღში სსმ აღსაზრდელების არსებობა, აღნიშნულიდან გამომდინარე ბაღში საჭიროება დგას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პედაგოგის ყოფნის.)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, რომლის ჩამონათვალში არის მენეჯერის თანაშემწის და მებაღე/მეეზოვის შტატი, რეალურად აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნული პირები არ არიან, რაც გაერთიანების დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუს დროს გაირკვა.

დაწესებულებამ წარმოადგინა „თანამდებობრივი ინსტრუქცია“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 2 მაისის №41.48251225 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ფუნქციები, უფლება-მოვალეობების გადანაწილების და შეთავსების საკითხები. აღნიშნული დოკუმენტის გაცნობის ხელწერილი არ აქვთ.

<sup>4</sup> აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

## აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და სამტატო ნუსხა დააკორექტიროს იმგვარად, რომ მასზე ასახული იყოს მხოლოდ იმ პირთა პოზიციები, რომლებიც რეალურად არიან დანიშნული. დაწესებულებას უნდა ჰყავდეს საკმარისი რაოდენობის პერსონალი (მეეზოვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პედაგოგი და ლოგოპედი, რომელთა არსებობის საჭიროებაც დგას ბაღში.) ასევე დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები (აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა.) დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სამუშაო აღწერის დოკუმენტის გაცნობის ხელწერილის მოწესრიგება.

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში დაწესებულების დირექტორი უზრუნველყოფს სამტატო ნუსხაში ცვლილების შეტანას და არსებული პოზიციების დაკორექტირებას დაწესებულების რეალური საჭიროების შესაბამისად. საჭიროების შესაბამის პოზიციებზე კონკურსის გამოცხადებას და შესაბამისი პერსონალის შერჩევას. შერჩეულ პერსონალთან კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას. დასაქმებულებისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციის გაცნობის შესაბამის დოკუმენტზე მათ მიერ ხელმოწერის დაფიქსირებას.



აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „ორგანოგრამა“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N 41. 482514217 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს როგორც ბაღების გაერთიანების, ასევე ბაღის ორგანოგრამა, მაგრამ დამტკიცებული მხოლოდ გაერთიანების ორგანოგრამაა. გაერთიანების ორგანოგრამაზე ასახულია ხარისხის მართვის კოორდინატორის პოზიცია. „ხარისხის მართვის კოორდინატორი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის მაისის 13 იანვრის N 41. 48250131 ბრძანებით.

ბაღების გაერთიანების ბაზაზე დანიშნულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი“, რომელიც დამტკიცებულია „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 მაისის N493 ბრძანებით. აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობა შეთავსებული აქვს შიდა მონიტორინგის მენეჯერის თანაშემწეს. (შეთავსების საკითხი არ არის ასახული შრომით ხელშეკრულებაში) აღნიშნული პოზიცია არ არის ასახული ორგანოგრამაზე.

დაწესებულებას რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, არ ჰყავს იდენტიფიცირებული, შექმნილია საკონსულტაციო საბჭო, მაგრამ რადგან არ ჰყავთ აღმზრდელ-პედაგოგები შესაბამისად წარმოდგენილი საკონსულტაციო საბჭოს შექმნის და სხდომის ოქმები, იურიდიულად არ არის გამართული.

დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია, ა(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 23 მაისის Nზ 41.48251431 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში თავი II. ორგანიზება დაგეგმვის პროცესი. მუხლი 7. სამუშაო აღწერილობა, განსაზღვრულია ჩამონათვალი თუ რას უნდა მოიცავდეს სამუშაო აღწერილობა. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი „თანამდებობრივი ინსტრუქციები“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 2 მაისის Nზ 41.48251225 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებული არ არის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს გაერთიანების ბაზაზე მყოფი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობა შეთავსებული აქვს შიდა მონიტორინგის მენეჯერის თანაშემწეს, შეთავსების საკითხი უნდა იყოს ასახული შრომით ხელშეკრულებაში) ასახოს გაერთიანების ორგანოგრამაზე. დაწესებულებამ სამუშაო აღწერილობაში უნდა გაითვალისწინოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალის გათვალისწინება. დაწესებულებამ ყველა მოქმედ პროცესზე განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი. შექმნას და დაამტკიცოს საკონსულტაციო საბჭო, დანიშნოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და ასახოს ორგანოგრამაზე. ასევე დაამტკიცოს ბაღის ორგანოგრამა.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და საკონსულტაციო საბჭოს დამტკიცების შემდეგ ასახოს გაერთიანების ან ბაღის ორგანოგრამაზე. (საკონსულტაციო საბჭო შეიძლება შეიქმნას გაერთიანების ბაზაზე ან

თითოეულ ბაღში ცალკე) სადაც ასევე თვალსაჩინო იქნება, რომ იგი არ არის დირექტორის ან რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ზემდგომი/ქვემდგომი ორგანო, არამედ, დამოუკიდებელია საკუთარი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შემდეგ აღნიშნული პოზიციაც უნდა აისახოს ორგანოგრამაზე იმის გათვალისწინებით გაერთიანების ბაზაზე იქნება დანიშნული თუ ბაღის.(შესაძლებელია ეს პოზიცია შეთავსებული ჰქონდეს ვინმეს).

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს შეიმუშაოს და დაამტკიცოს ორგანოგრამა, რომელშიც ასახული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და საკონსულტაციო საბჭო. შევიდეს ცვლილება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები გაიწეროს შიდა მონიტორინგის მენეჯერთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. შევიდეს ცვლილება სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში, გათვალისწინებული იქნას საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი. დაწესებულებამ განსაზღვროს ყველა მოქმედ პროცესზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირი. შეირჩეს და დამტკიცდეს საკონსულტაციო საბჭო. შეირჩეს და დაინიშნოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების



**მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის განმახორციელებელი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები“.**

კვალიფიკაცია შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, საკრებულოს დადგენილების მიხედვით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი არ არის შემდეგი პერსონალის კვალიფიკაცია: მუსიკის მასწავლებელი, აღმზრდელი(ოთხი), მზარეული, მზარეულის თანაშემწე, თანაშემწე(ორი), დანიშნულია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი (მნე) და დარაჯი(ორი), რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის დადგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი აქტით, მაგრამ არც დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისი პოზიციისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

### **რეკომენდაცია**

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა პერსონალის პირად საქმეში. აგრეთვე, როდესაც აყვანილია ისეთ პოზიციაზე კადრი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის დარეგულირებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი აქტით, მაშინ დაწესებულებას თავად უნდა ჰქონდეს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

## რჩევა

---

---

---

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს პერსონალის პირად საქმეში განთავსდეს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. განისაზღვროს თანამშრომლების: მნე, დარაჯი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და აისახოს ან საკრებულოს დადგენილებაში და ან თავად დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს (ყველა) აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია(I და II ცვლის აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მედდა, ბალის დირექტორი.)



კომპეტენცია დასტურდება სერტიფიკატებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

#### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის პროცესები გაწერილია როგორც შინაგანაწესში ასევე პერსონალის მართვის დოკუმენტში. დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ზ 41. 48251431 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: თავი I. ზოგადი დებულებები. თავი II. ორგანიზება/დაგეგმვის პროცესი. თავი III. ორგანიზაციასი შემოსვლის პროცესი. თავი IV. შესრულებული სამუშაოს მართვა . დაწესებულებამ წარმოადგინა „შინაგანაწესი“, რომელიც დამტკიცებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2024 წლის 18 სექტემბრის N ზ41. 48242624. ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: თავი I. ზოგადი დებულებანი . თავი II. სამუშაო დრო და დასვენების დრო. თავი III. დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაოს დამთავრების შემდეგ გაერთიანებაში ყოფნის პირობები და წესი. თავი IV. დასაქმებულის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა. თავი V. დასაქმებულის მიერ ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის ვალდებულება. თავი VI. შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები. თავი VII. დასაქმებულის ხელფასის გაცემა. თავი VIII. დასკვნითი დებულებები(აღსაზრდელთა ჩარიცხვა-ამორიცხვა). აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

პერსონალის მართვა ხორციელდება დადგენილი მარეგულირებელი დოკუმენტის და შინაგანაწესის შესაბამისად. შინაგანაწესში არ არის გაწერილი ანაზღაურებადი შვებულების და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა. ბაღის თანამშრომლები იცნობენ შინაგანაწესს და წარმოადგინეს გაცნობის ხელწერილიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს შინაგანაწესის საქართველოს ორგანულ კანონთან „საქართველოს შრომის კოდექსი“- თან შესაბამისობაში მოყვანა. გაწეროს ანაზღაურებადი შვებულების და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა.



## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს შევიდეს ცვლილება დაწესებულების შინაგანაწესში და მოვიდეს შესაბამისობაში „საქართველოს შრომის კოდექსი“- სთან, გაიწეროს ანაზღაურებადი შვებულების და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პერსონალთან. გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო დროს და მის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალს. ხელშეკრულებაში არ არის დაცული არსებითი პირობები, კერძოდ: ა)სამუშაო დრო და შესვენების დრო. ბ)შრომის ანაზღაურების გადახდის წესი. გ)ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულების მიცემის წესი. ხელშეკრულებაში მითითებულია რომ შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ წერია რომ დასაქმებული გაცნობილია შრომის შინაგანაწესს. ასევე ის არსებითი პირობები რაც არ არის გათვალისწინებული შრომით ხელშეკრულებაში არც შინაგანაწესშია განსაზღვრული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავდეს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის კოდექსის არსებითი პირობების სრული ჩამონათვალი.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების გამიჯვნის დროს სავალდებულო არ არის კვირაში ორივე დღეს ერთიდაიგივე დროს ხდებოდეს არასაკონტაქტო საათის გამოყენება. თუ აღმზრდელ-პედაგოგის და აღმზრდელის არასაკონტაქტო დრო დაემთხვა ერთმანეთს, შესაძლებელია დირექტორმა ჯგუფში შესვლა დაავალოს სხვა პერსონალს(მუსიკის მასწავლებელი,ფსიქოლოგი და ა.შ). (თუ კი დირექტორს დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა აძლევს ამის საშუალებას დაავალოს ზეპირსიტყვიერად

ან რაიმე შიდა ბრძანებით გააფორმოს აღნიშნული). მაგ: თუ აღმზრდელ-პედაგოგის სამუშაო დრო კვირაში არის 30 საათი და აქედან კვირაში 2 დღე აქვს ჯგუფთან არასაკონტაქტო 1 საათი, მაშინ საკონტაქტო დრო იქნება 28 საათი, ხოლო არასაკონტაქტო 2 საათი. იგივე პრინციპით განისაზღვრება და ხელშეკრულებაში აისახება აღმზრდელის შემთხვევაც.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის კოდექსის არსებითი პირობების სრული ჩამონათვალი. ასევე შესაძლებელია არსებითი პირობებით განსაზღვრული რიგი საკითხები გაწეროს შრომის შინაგანაწესში, ამ შემთხვევაში, შრომით ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს , რომ დამსაქმებელი გაცნობილია შრომის შენაგანაწესს და რომ შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შევიდეს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების შინაარსი. ასევე ა)სამუშაო დრო და შესვენების დრო. ბ)შრომის ანაზღაურების გადახდის წესი. გ)ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულების მიცემის წესი. განისაზღვროს ფორმა, რომლითაც დადასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

**3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ბ 41. 48251431 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. დაწესებულებას პერსონალს ნიშნავს პირდაპირი დანიშვნის გზით. გაერთიანების დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ რეგულაციის მიღების შემდეგ დაწესებულებაში ახალი კადრი არ დანიშნულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### რეკომენდაცია

.....

.....

.....

#### რჩევა

.....

.....

.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

#### 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესები გაწერილი აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“-ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ბ 41. 48251431 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე-12 მუხლში (ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია.)მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

- ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის, მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- გ) ტრენგების/სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა.
- ე) საჭირო რესურსებზე აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის უზრუნველყოფა;
- ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცესების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება.

გაერთიანების დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ რეგულაციის მიღების შემდეგ ახალი თანამშრომელი არ ჰყავთ მიღებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია



.....  
.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....  
.....  
**5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბალის მენეჯერთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულება იხელმძღვანელებს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით. რასაც ადასტურებდნენ თანამშრომლობითი საქმიანობებისთვის გამოყოფილი სივრცით, სადაც მოხდება ერთმანეთთან გამოცდილებების გაზიარება და ერთად მიიღებენ გადაწყვეტილებებს ბაღში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ეზოს მოწყობა, სხვადასხვა აქტივობები და სხვა..

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....  
.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....  
.....  
**4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე**

**1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ბ 41. 48251431 ბრძანებით. თავი IV. შესასრულებელი სამუშაოს მართვა, მუხლი 13. შესასრულებელი სამუშაოს შეფასება. დაწესებულებას პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში არ აქვს განსაზღვრული ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ასპექტების შეფასება, ასევე საჭიროებათა მოკვლევა თუ რომელი მეთოდ(ებ)ის გამოყენებით განხორციელდება. ასევე არ აქვს განსაზღვრული შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები.

## აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს თავი IV. შესასრულებელი სამუშაოს მართვა, მუხლი 13. შესასრულებელი სამუშაოს შეფასება. დაწესებულებამ პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ასპექტების შეფასება, საჭიროებათა მოკვლევა თუ რომელი მეთოდ(ებ)ის გამოყენებით განხორციელდება. განსაზღვროს შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები. შეფასების პროცედურა იყოს დოკუმენტურად გაწერილი შესაძლოა, დაწესებულებამ შეიმუშავოს თანამშრომლის საქმიანობის შეფასების წესი.

### რჩევა

შეფასების წესში უნდა განისაზღვროს:

შეფასების მეთოდი;

შეფასების მონაწილე მხარეები;

შეფასების პერიოდულობა;

შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები, ინდიკატორები და მტკიცებულებები;

საბოლოო შედეგების განსაზღვრის პროცედურა;

შედეგების ანალიზის და გამოყენების შესახებ ინფორმაცია.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს ცვლილება შევიდეს პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში და განისაზღვროს საჭიროებათა მოკვლევის მეთოდ(ებ)ი, შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები, შეფასების პროცედურის ამსახველი

დოკუმენტის ფორმები, ასევე შეფასების მეთოდი, შეფასების მონაწილე მხარეები, შეფასების პერიოდულობა, შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები, ინდიკატორები და მტკიცებულებები, საბოლოო შედეგების განსაზღვრის პროცედურა, შედეგების ანალიზის და გამოყენების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ბ 41. 48251431 ბრძანებით. მუხლი.20 თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული პროცესები. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიული განვითარების გეგმა, დაწესებულების დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ, გეგმას შეიმუშავებს სამომავლოდ, პროცესში გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....



რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

### 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ბ 41. 48251431 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში არ არის გაწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მიღების და მათი მხარდაჭერის მექანიზმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მიღების და მათი მხარდაჭერის მექანიზმი.

## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს შევიდეს ცვლილება პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში და გაიწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მიღების და მათი მხარდაჭერის მექანიზმი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. „ორგანოგრამა“-ის დამტკიცების შესახებ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N 41. 482514217 ბრძანება.
2. „თანამდებობრივ ინსტრუქციებში ცვლილების შესახებ“ მმართველის 2024 წლის 30 სექტემბრის N41.482427417 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 2 მაისის N41.48251225 ბრძანება.
3. პერსონალის პირადი საქმეები.
4. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N 41. 48251431 ბრძანება.
5. შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები.
6. ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2023 წლის 29 მაისის N369 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2024 წლის 18 სექტემბრის N 41. 48242624. ბრძანება. ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2023 წლის 29 მაისის N369 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველის 2024 წლის 18 სექტემბრის N 41. 48242624. ბრძანება.
7. ინტერვიუს შედეგები.



|                                       |                                                          |                                                 |                                         |
|---------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                             |                                                          |                                                 |                                         |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>  | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, აღნიშნული დასტურდება დოკუმენტით „პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფა“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის Nზ41. 48251421 ბრძანებით. მუხლი 4. დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი

#### მმართველობითი

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- ხარისხის უზრუნველყოფა.

#### ძირითადი

- კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;



- ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა);
- სსსმ ბავშვების მომსახურება;
- ოჯახთან და თემთან ურთიერთობა.

### დამხმარე

- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალური რესურსის მართვა;
- საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
- პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა;
- ფინანსური რესურსების მართვა;
- სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა;
- ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა;
- სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

.....  
.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....  
.....  
2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პროცესების მართვა განსაზღვრული აქვს წესით, „პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფა“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №41. 48251421 ბრძანებით.

თავი IV შესასრულებელი სამუშაოს მართვა, რომელშიც განსაზღვრული კომპონენტები ხარისხის ციკლის შესაბამისია, აღნიშნულ დოკუმენტში პროცესის მარეგულირებელი წესი არ არის სრულად ჩაწერილი. სრულად განსაზღვრული არ არის პროცესის ფლობაზე პასუხისმგებელი პირები.

მაგ: პროცესის დასახელება: საქმისწარმოება- პასუხისმგებელი პირი არ არის იდენტიფიცირებული. პროცესის ფლობაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობაში „თანამდებობრივი ინსტრუქციები“, რომელიც დამტკიცებულია, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 2 მაისის №41.48251225 ბრძანებით. მითითებული არ არის ის საქმიანობა რომელ



პროცესზეც მფლობელ პირებად არიან განსაზღვრული. მაგ: დირექტორის მოადგილის თანამდებობრივ ინსტრუქციაში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები არ ემთხვევა იმ პროცესის დასახელებას რომლის მფლობელადაც არის მითითებული. მაგ: ერთ-ერთი პროცესის მფლობელად მითითებულია დირექტორი, თანამდებობრივ ინსტრუქციებში კი მისი სამუშაო აღწერილობა არ არის მითითებული. დირექტორის მოადგილე მითითებულია სსმ ბავშვების მომსახურების პროცესის მფლობელად, მაგრამ სამუშაო აღწერილობა არ მოიცავს აღნიშნულ საქმიანობას.

შესაბამისად ხარისხის ციკლის დაგეგმვის ნაწილი ვერ უზრუნველყოფს პროცესების მართვას ხარისხის ციკლის შესაბამისად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი დააკორექტიროს იმგვარად, რომ ყველა პროცესს ჰყავდეს პროცესზე პასუხისმგებელი პირი და სამუშაო აღწერილობის და პროცესების აღმწერი დოკუმენტი თანხვედრაში იყოს ერთმანეთთან. აღნიშნულ დოკუმენტში სრულად ჩაწეროს პროცესის მარეგულირებელი წესის დასახელება.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, მაგალითად თუ ადამიანური რესურსების მართვა გაწერილია მოადგილის სამუშაო აღწერილობაში, პროცესების აღმწერ დოკუმენტშიც ადამიანური რესურსების მართვის პროცესის მფლობელად მოადგილე უნდა მიეთითოს.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს შევიდეს ცვლილება პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში და დაკორექტირდეს ისე, რომ ყველა პროცესს ჰყავდეს პროცესზე პასუხისმგებელი პირი, თანხვედრაში მოვიდეს სამუშაო აღწერილობის დოკუმენტთან და სრულად მიეთითოს პროცესის მარეგულირებელი წესის დასახელება. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ბავშვების ჩარიცხვის და ამორიცხვის წესი. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N 41. 482514210 ბრძანებით. აღნიშნული წესი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

მუხლი 2. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპები.

მუხლი 3. ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის განხორციელების ფორმა.

მუხლი 4. დაწესებულებაში ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

#### რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ბ 41. 48251431 ბრძანებით. წესი არეგულირებს პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას.

თავი IV. შესასრულებელი სამუშაოს მართვა, მუხლი 16. თანამშრომელთა პირადი საქმეების ჩამონათვალი. პერსონალის პირადი საქმეების წარმოება ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად, დაწესებულებას პირადი საქმის წარმოების წესში განსაზღვრული აქვს კანონმდებლობით სავალდებულოდ განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალი. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მე - 18 მუხლის მიხედვით დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა“. თანამშრომელთა პირად საქმეში მომსახურების მიწოდების მისამართზე დაწესებულებაში შესაბამის პერსონალს მოეთხოვება:

1. ცნობა ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ;
  2. ცნობა სამხარეულოს პერსონალისათვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხის არარსებობის შესახებ.
- დაწესებულებამ აღნიშნული ცნობები ვერ წარმოადგინა.

ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი განსაზღვრულია „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ში, რომელიც დამტკიცებულია „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №41. 482514210 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ბავშვების პირად საქმეში დოკუმენტაციის ჩამონათვალს. ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის დაწესებულებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება დირექტორის სახელზე;
- ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- გ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
- დ) ბავშვის ფოტოსურათი;
- ე) ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი;
- ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ზ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
- თ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი;



- ი) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;
- კ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
- ლ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);
- ნ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ო) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;

ადგილზე დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ბავშვების პირად საქმეში დოკუმენტაციის ჩამონათვალი სრულყოფილი სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

### რეკომენდაცია

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მე - 18 მუხლის მიხედვით დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს“ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა“. აღნიშნული ცნობა უნდა იყოს ყველა პერსონალის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი. ასევე შესაბამისი პერსონალის პირად საქმეში უნდა იყოს:

1. ცნობა ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ;



2. ცნობა სამზარეულოს პერსონალისათვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხის არარსებობის შესახებ. დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული ცნობების მოწესრიგება.

დაწესებულებამ ბავშვის პირად საქმეში უზრუნველყოს ყველა იმ დოკუმენტაციის არსებობა, რომელიც „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ით არის განსაზღვრული.

### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს პერსონალის პირად საქმეში განთავსდეს: ა) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობა; ბ) ცნობა ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ; გ) ცნობა სამზარეულოს პერსონალისათვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხის არარსებობის შესახებ.

ბავშვის პირად საქმეში განთავსდეს წესის შესაბამისი დოკუმენტები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N ბ 41. 48251431 ბრძანება.
2. „პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N41.48251421 ბრძანება.
3. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის N ბ 41. 482514210 ბრძანება.
4. პერსონალის პირადი საქმეები.
5. ინტერვიუს შედეგები.

|                                        |                                                          |                                                 |                                         |
|----------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| .                                      |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.2 პროცესების მართვა</b>           |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება.ა <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

### 4.3 მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.



|                                      |                                               |                                                            |                                         |
|--------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                               |                                                            |                                         |
| <b>4.3 მატერიალური რესურსი</b>       |                                               |                                                            |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

##### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                                 |                                                          |                                                 |                                         |
|-------------------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                                       |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>            | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

##### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

|                                        |                                                          |                                                 |                                         |
|----------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                              |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები</b> |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/>   | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

##### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას: ექთანს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგი. აღნიშნულის მტკიცებულებად აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია- სერტიფიკატი. გაწერილი არ აქვთ პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, არ ხდება სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალის წარმოება, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა და პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვადების კონტროლი. (აღნიშნულ პირს ფუნქციებში უნდა ჰქონდეს გაწერილი ვადების კონტროლი.) ასევე არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და გაწეროს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, სადაც აღწერილი იქნება თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. დაწესებულებაში შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა აწარმოოს სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალი, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა და პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვადების კონტროლი (ვადების კონტროლი გაწერილი უნდა იყოს მის ფუნქცია-მოვალეობებში.) დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის ჯეროვნად შესრულება.

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს პირველადი დახმარების მექანიზმის შემუშავებას; პირველადი დახმარების მექანიზმის დამტკიცებას; სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალის წარმოებას, დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას და პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ვადების კონტროლს. ექთნის ფუნქციებში ვადების კონტროლის შეტანას. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის პროექტის შემუშავებას; შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან გაგზავნას შესატანხმებლად. შეთანხმებული გეგმის დამტკიცებას. აღნიშნული გეგმა

უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აღწერილი არ აქვს მის ტერიტორიაზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და მოახდინოს აღწერა ეზოში/გარე სივრცეში არსებული მცენარეების, მცენარეების შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს მონაცემებს მცენარის პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი გაუვნებლების ზომები.

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს შესაბამისი უწყებიდან

კომპეტენტური პირის მოწვევას, ზუსტ აღრიცხვას მავნე მცენარეების. საბავშვო ბაღის ეზოს გამოთავისუფლებას მავნე მცენარეებისაგან. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

**3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესი ან პროცედურა. აქვთ მშობლის წერილობითი ნებართვა დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, რომელიც არის ბავშვის პირადი საქმის ნაწილი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

**რეკომენდაცია**

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესი ან პროცედურა, რომ მოხდეს ტერიტორიიდან ყოველი გაყვანისას ერთ-ერთი მშობლის (გარდა სპეციალური შემთხვევებისა, როცა ოჯახი გაყოფილია და მეურვეობის საკითხი არაა გადაწყვეტილი) ან კანონიერი წარმომადგენლის დეტალური ინფორმირება და განსაზღვროს გაყვანის პროცესში დამხმარე პირების რაოდენობა და ჩამონათვალი (მშობელი, პერსონალი, სხვა ორგანოს ჩართულობა).



## რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვთა ტერიტორიიდან უსაფრთხო გაყვანისთვის შესაბამისი წესის ან პროცედურის შემუშავებას და დამტკიცებას უფლებამოსილი პირის მიერ. შემუშავებულ წესში/ პროცედურაში გაყვანის პროცესში დამხმარე პირთა რაოდენობის და ჩამონათვალის განსაზღვრას. დაწესებულებიდან ბავშვის გაყვანის შემთხვევაში ყოველ ჯერზე მშობლის თანხმობის ფორმის შედგენას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გარემო პროგნოზირებადია ბავშვისთვის რაც დასტურდება ვიზუალური დღის განრიგით. სამომავლოდ განსაზღვრულია ბავშვებისთვის დღის განრიგის კომპონენტების ეტაპობრივად გაცნობა და მისი, ბავშვების ემოციური უსაფრთხოების მიზნით გამოყენება, აღმზრდელი დღის განრიგის კომპონენტების

და აქტივობების ცვლილების დროს გამოიყენებს ვიზუალურ დღის განრიგს. რაც დასტურდება აღმზრდელებთან ინტერვიუს საშუალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

.....

.....

.....

## რჩევა

.....

.....

.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს რაც დასტურდება: „საკომუნიკაციო გეგმის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის №41.48251432 ბრძანებით, სადაც გაწერილია ჩასატარებელი აქტივობები. ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შიდა და გარე აუდიტორიისთვის. პერსონალი



საქმიანობის წარმართვის პროცესში დაიცავს ბავშვის უფლებებს რაც დასტურდება: აღმზრდელების კვირის გეგმებით და დღის განრიგებით, (არჩევანის, დასვენების, თამაშის უფლება, ტრანზიციების მზაობა), მშობლის ჩართულობის მზაობით, ჯანსაღი კვებით, ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული უსაფრთხო გარემოთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

.....

.....

.....

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....

**3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)ი.პ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის“ 2025 წლის 22 მაისის №41.48251429 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში განსახორციელებელ პროცედურებსა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) საკითხებს. განსაზღვრავს დაწესებულების როლსა და ფუნქციებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მიზნით. იდენტიფიცირებული არ ჰყავთ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა.

### რჩევა

.....

.....

.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.



#### 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება სამომავლოდ განახორციელებს ბავშვის მცირე ტრანზიციების ხელშეწყობა აქტივობებს, რაც იკითხება ყოველკვირეული გეგმების შინაარსში. აგრეთვე სამომავლოდ განახორციელებს ბავშვის დიდი ტრანზიციების ხელშეწყობა აქტივობებს რაც დასტურდება აღმზრდელების გრძელვადიანი გეგმით, სადაც გაწერილია სკოლაში ვიზიტი. ხოლო სახლიდან ბაღში ტრანზიციისთვის აქვთ დამხმარე რესურსი- ვიზუალური დაფა “სახლი - ბაღი“. აღნიშნული საკითხი დასტურდება აღმზრდელებთან ინტერვიუთი, ადასტურებენ რომ პირველადი აღსაზრდელებისთვის ადაპტაციის ხელშესაწყობად გეგმავენ აქტივობებს, მშობლების მოწვევას ბავშვებთან ერთად. მშობლებს ექნებათ შესაძლებლობა შეგუების პროცესში იყვნენ ბავშვებთან ერთად ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

##### რეკომენდაცია

.....

.....

.....

##### რჩევა

.....

.....

.....

##### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

.....



## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა (ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვ.). დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას რაც დასტურდება აღმზრდელებთან ინტერვიუთი, სადაც ადასტურებენ, რომ ბავშვების შესახებ ინფორმაცია არ გაზიარდება საერთო შეხვედრებზე და კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით მოაწყობენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, როგორც მშობლებთან ასევე დაწესებულების პერსონალთან. დაწესებულებას დანიშნული ჰყავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი“, რომელიც დამტკიცებულია „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2024 წლის 30 მაისის N493 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

### რეკომენდაცია

.....

.....

.....

### რჩევა

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
3. მშობლის წერილობითი ნებართვა (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვ.).
4. დღის განრიგი;
5. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების დაკისრების შესახებ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 მაისის N493 ბრძანება.
6. „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის შესახებ“ ა(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის Nბ41.48251429 ბრძანება.
7. ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის/ტრანზიციის ამსახველი მასალები/აქტივობები.
8. ინტერვიუს შედეგები.
9. ვიზუალური დათვალიერება.



10. „საკომუნიკაციო გეგმის წესი“, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის №41.48251432 ბრძანება.

|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| 4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### 4.7. ფინანსური რესურსი

##### 4.7.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

#### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დამტკიცებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 15 იანვრის N ბ48.482501513 ბრძანებით. დაწესებულების არსებული ფინანსური რესურსი, ვერ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას ყველა აქტივობის შესაბამისად. რაც დაადასტურა გაერთიანების დირექტორის მოადგილემ ინტერვიუს დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ ფინანსური რესურსი უზრუნველყოფდეს სამოქმედო გეგმის განხორციელებას (ყველა აქტივობის შესაბამისად).

### რჩევა

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს ფინანსურ გეგმაში ცვლილებების შეტანას, სამოქმედო გეგმაში არსებული ყველა აქტივობის განსახორციელებლად. ცვლილება შეტანილი ფინანსური გეგმის შეთანხმებას და დამტკიცებას შესაბამისი ორგანოს მიერ. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.



## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ბიუჯეტში კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისთვის გამოყოფილი რესურსი ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას (საკმარისობა და დაფარვა). კურიკულუმის მიზნებისთვის გაწერილი მინიმალური რესურსი, წარმოდგენილია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ით, რომელიც დამტკიცებულია (ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 2025 წლის 22 მაისის № 41.48251425 ბრძანებით, რომელიც ადგილზე არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და ფინანსური რესურსის განაწილება დაგეგმოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს მექანიზმით გაწერილი კურიკულუმის მიზნებისთვის შესაბამისი მინიმალური რესურსით საჭიროების უზრუნველყოფა.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს ბიუჯეტის შედგენას, რომელიც მოიცავს კურიკულუმით გათვალისწინებული საჭიროებების შესასრულებლად რესურსის უწყვეტ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

#### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს და შეიმუშაოს ფინანსური მართვის სისტემა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ხარისხის ციკლს და მოიცავდეს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვას, განკარგვას და მონიტორინგის მექანიზმებს.

#### რჩევა



### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 12 თვის ვადაში გაერთიანების დირექტორი უზრუნველყოფს ფინანსური მართვის სისტემის შემუშავებას და დამტკიცებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვას, განკარგვას და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2. ა(ა)ი პ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ წტალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 15 იანვრის N ბ48.482501513 ბრძანება.
3. ინტერვიუს შედეგები.
4. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის , შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია (ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის Nბ 41.48251425ბრძანებით.



|                                      |                                                          |                                                 |                                         |
|--------------------------------------|----------------------------------------------------------|-------------------------------------------------|-----------------------------------------|
| შეფასება:                            |                                                          |                                                 |                                         |
| <b>4.7 ფინანსური რესურსი</b>         |                                                          |                                                 |                                         |
| შეესაბამება <input type="checkbox"/> | მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> | ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> | არ შეესაბამება <input type="checkbox"/> |

#### ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება                                         |                             |
|----------------------------------------------------------------------------|-----------------------------|
| ვიზიტის დღის წესრიგი                                                       |                             |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |                             |
| დანართის N                                                                 | 2. სხვა დანართის დასახელება |
| 1                                                                          |                             |
| 2                                                                          |                             |
| 3                                                                          |                             |

თარიღი 11/11/2025 წელი

ხელმოწერა

სახელი გვარი

ხელმოწერა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  
თავმჯდომარე  
ხარისხის ექსპერტი

ვანდა ქობულაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები  
კურიკულუმის ექსპერტი:

სოფიო მოწონელიძე

კვების დარგში ექსპერტი:

დალი მედოიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

მარიამ გელხვიძე

| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                             |             |                      |                        |                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|----------------------|------------------------|----------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| საფირმო სახელწოდება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქ. წყალტუბო N24 საბავშვო ბაღი |                                                                                                                                                                                                             |             |                      |                        |                | ბრძანების N: MES 2 25 0000863841                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქ. წყალტუბო 9 აპრილის N15<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)                                                         |                                                                                                                                                                                                             |             |                      |                        |                | ვიზიტის თარიღი: 2025წლის 13-14 აგვისტო                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას                                   |                                                                                                                                                                                                             |             |                      |                        |                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| N                                                                                                                                                                                                                | ინდიკატორი                                                                                                                                                                                                  | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| 1                                                                                                                                                                                                                | დაწესებულება უზრუნველყოფს საადმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით                                    | ☐           | ☐                    | ☒                      | ☐              | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.<br>2. შენობა ნაგებობის სქემა.<br>3. დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.<br>4. ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ბავშვთა ზღვრული რაოდენობის წესის შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 22 მაისის №ბ41. 48251428 ბრძანება.<br>5. ინტერვიუს შედეგები.<br>6. ვიზუალური დათვალიერება. |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| 2                                                                                                                                                                                                                | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს |             |                      |                        |                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| 3                                                                                                                                                                                                                | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს                                                                |             |                      |                        |                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                                                                                                                                                        |       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|      | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში                                   | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |
|      | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე        | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |
|      | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ზაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის                                                                                                                                         | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |
|      | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით                                                                                                                                                                             | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |
|      | მცირეკონტიგენტან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი                                                                                                    | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |
|      | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიმუმებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას                                                                                                      | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |
|      | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა                                                                                                                                                               | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |
| 2.4. | მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)   |                                     |                          |                          |                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |  |  |  |  |

|      |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |                                     |                          |                                     |                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|      | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | დაწესებულება უზრუნველყოფილია ყოველ 15 ბავშვზე არანაკლებ ერთი საბავშვო უნიტაზით და ერთი ხელსაბანი ნიჟარით ყოველ 20 ბავშვზე. დაწესებულების სანიტარული კვანძების ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ. დაწესებულების სან. კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები (სამი ასაკობრივი ჯგუფიდან ერთ ჯგუფში მოწყობილია ტიბრები მაგრამ არ აქვს კარები)ტუალეტის კაბინის კარი არ იღება გარეთ, არ არის აწეული იატაკის დონიდან და არ იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით, ადაპტირებული სან.კვანძი არ არის მოწყობილი როგორც ბავშვებისთვის ასევე ზრდასრულებისთვის. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმ სან. კვანძში სადაც მხოლოდ ტიბრებია უზრუნველყოს კარებების მოწყობა, რომელიც იატაკის დონიდან იქნება აწეული და დაიკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით. აღნიშნული უნდა გაითვალისწინოს იმ სან. კვანძებშიც სადაც კარები არის, მაგრამ არ არის აწეული იატაკის დონიდან და არ იკეტება გარედან გაღების შესაძლებლობით, ხოლო სადაც ტიბრები არ არის უზრუნველყოს მოწყობა. დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და ზრდასრულებისთვის (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამოიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) (WASH ინდიკატორი) | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 24 თვის ვადაში გაერთიანების ღირექტორი უზრუნველყოფს სან.კვანძებში შესაბამისი საჭიროებების დადგენას, საქმიანობის ბიუჯეტირებას, კაბინებზე კარების დამონტაჟებას, რომელიც აწეული იქნება იატაკიდან და ექნება შიდა და გარე გაღების მექანიზმი. ადაპტირებული სან.კვანძების მოწყობას, რომელშიც პრივატულობის დაცვის მიზნით უნიტაზები გამოიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| 2.5. | მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |                                     |                          |                                     |                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|      | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | დაწესებულებას აქვს ეზო, რომლის ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არანაკლებ 3 კვ. მ-ია. ეზო შემოფარგლულია 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით. დაწესებულების ეზოს ერთი ნაწილი არის დამრეცი, არათანაბარი ზედაპირია რაც წარმოადგენს საფრთხეს ბავშვებისთვის. გავლებული არის დამატებითი ღობე ამ დამრეცი ადგილის გასამიჯნად, რომელიც არ არის მყარი და მისი სიმაღლე სხვადასხვა ზომისაა(1,35-1,45.)                                                                                                                                                                                                                                                 | დაწესებულებამ დამატებითი ღობე შეეცალოს მყარი არანაკლებ 1,6 მ ღობით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 24 თვის ვადაში გაერთიანების ღირექტორი უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამისი საქმიანობის განსაზღვრას, საქმიანობის ბიუჯეტირებას, შესაბამისი საქმიანობების განხორციელებას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.                               |
|      | ეზოს/გარე სივრცის მიწისმაღური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/შემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|      | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღობეები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში.                                                                                                                                                            | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|      | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო ღვარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე.                                                                                                                                                                                                                                                                                                          | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|      | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის                                                                                                                                                                                                                                                                               | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| 2.6. | ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქციები)                                                                                                                                                                                                                                                                           |                                     |                          |                                     |                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|      | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> | ეზოში სავალდებულო აღჭურვილობიდან განთავსებულია: საჩრდილობელი, სასრიალო, საქანელა, სკამები და მაგიდა, ბალანსის აღჭურვილობა, აღნიშნული აღჭურვილობა ითვალისწინებს ბავშვის ასაკს და უსაფრთხოა. ამ კონსტრუქციების ქვემოთ საფარი დაფარულია რბილი ხელოვნური ზედაპირით. ეზოში თავმყერის ადგილებში გამოყენებულია ზაოიანი ზედაპირის ფილები. არ არის საქვიშე , სათამაშო სახლი/კარავი/ სივრცე განმარტებისთვის, სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის, სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის. საცივი/საძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები, ეზოში არ არის განათების წყარო.                                                      | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და ეზოში მოაწყოს: საქვიშე, სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტებისთვის, სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის, საცივი/საძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები, სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის, ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 24 თვის ვადაში გაერთიანების ღირექტორი უზრუნველყოფს საჭიროებების განსაზღვრას, საჭიროების შესაბამისი საქმიანობების განსაზღვრას, საქმიანობების ბიუჯეტირებას, შესაბამისი საქმიანობების განხორციელებას. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია. |
|      | სასრიალო                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|      | საქანელა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>            | <input type="checkbox"/> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
